



Norwegian Ministry
of Foreign Affairs



საქართველოს პლასტიკის ნარჩენების

პრევენციის

ეროვნული პროგრამა

2021 წელი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას

სარჩევი

სარჩევი	1
1 შესავალი	3
2 სიტუაციის ანალიზი.....	4
2.1 მეთოდოლოგია	4
2.2 საქართველოში განხორციელებული რეფორმები	5
2.3 საკანონმდებლო ჩარჩო.....	6
2.4 პლასტიკის ნარჩენების მართვა საქართველოში.....	9
2.4.1 მთავარი პრობლემები.....	9
2.4.2 პლასტიკის წარმოება და ვაჭრობა	9
2.4.2.1 საერთაშორისო ვაჭრობა.....	9
2.4.2.2 იმპორტი და ექსპორტი ქვეყნების მიხედვით.....	11
2.4.2.3 ადგილობრივი წარმოება.....	12
2.4.2.4 რეზიუმე	13
2.4.3 ბიოდეგრადირებადი პლასტიკი.....	15
2.4.4 მიკროპლასტიკი.....	15
2.4.5 პლასტიკის ნარჩენებისა და დანაგვიანების მაჩვენებლები	16
2.4.6 პლასტიკის ნარჩენების სახეები	17
2.4.7 პლასტიკის რეციკლირება.....	18
2.4.8 პლასტიკის ნარჩენების სეპარაცია და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემა.....	19
2.4.9 ინვესტიციები, კვლევისა და განვითარების და ინოვაციების როლი ცირკულარული გადაწყვეტილებების მიღებაში	21
2.4.10 გლობალური პროცესების გამოყენება.....	22
2.4.11 ხარვეზები, გამოწვევები და მათი ძირეული მიზეზები.....	22
3 სტრატეგია	25
3.1 ხედვა.....	25
3.2 პრიორიტეტები	25
3.2.1 იერარქია.....	25
3.2.2 კონცეფცია.....	26
3.2.3 პრიორიტეტული მიმართულებები	26
3.3 მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები.....	27
3.3.1 მიზანი 1: პლასტიკის რეციკლირების რენტაბელობისა და ხარისხის ამაღლება	28
3.3.2 ამოცანა 2: პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნისა და დანაგვიანების შემცირება.....	29
3.3.3 მიზანი 3: ინვესტიციებისა და ინოვაციების მიმართვა ცირკულარული გადაწყვეტილებებისაკენ.....	30
3.3.4 მიზანი 4: გლობალურ პროცესებში მონაწილეობა და მხარდაჭერა.....	31
3.4 ღონისძიებები.....	32
3.5 ლოგიკური ჩარჩო.....	39

4	სამოქმედო გეგმა.....	46
4.1	პოლიტიკის ალტერნატივები.....	46
4.2	სამოქმედო გეგმა.....	47
4.3	საჭირო ინვესტიციები	58
4.4	დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.....	59
5	პნპკ-ის შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება.....	60
	დანართი 1: დონორების მიერ ნარჩენების მართვის საკითხებზე დაფინანსებული ინიციატივები, რომლებიც კავშირშია საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვის სფეროსთან.....	61
	აბრევიატურა.....	64

1 შესავალი

პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამა (შემდეგში - პნპეპ) შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსის, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა (2016-2030) და ეროვნული სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. პნპეპ ითვალისწინებს პლასტიკის მართვის მიმართულებით არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და მიდგომებს, რომლებიც წარმოდგენილია ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა: ევროკავშირის მწვანე შეთანხმება¹, ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა² და პლასტიკის ევროპული სტრატეგია ცირკულარულ ეკონომიკაში³. ამავდროულად, პროგრამა ხელს შეუწყობს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

პნპეპ-ს მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სწრაფვას გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა და უზრუნველყოს პლასტიკის პროდუქტის მდგრადი და უსაფრთხო მოხმარება და წარმოება. აღნიშნულის მისაღწევად დოკუმენტში წარმოდგენილია მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პლასტიკის მართვის სექტორში ცირკულარული პრაქტიკის დანერგვას, სადაც პრიორიტეტი პლასტიკის პრევენციას, ხელახლა გამოყენებასა და გადამუშავებას ენიჭება.

დოკუმენტი მოიცავს სიტუაციის ანალიზს, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. არსებული ვითარების რეალისტურად შეფასებისა და სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის სიტუაციის ანალიზი ჩატარდა პრობლემების ხის ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები და შედეგად - 4 ძირითადი მიზანი. თითოეული მიზნისთვის გაწერილია ამოცანები (შესრულების ვადების მითითებით). თითოეული ამოცანის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმის ძირითად ნაწილს.

სტრატეგია მოიცავს 10 წლიან პერიოდს (2021-2031 წწ), ხოლო სამოქმედო გეგმა - 5 წლიან პერიოდს (2021-2026 წწ). სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შესაძლოა პერიოდულად განახლდეს პნპეპ-ს პერიოდული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე ნარჩენების მართვის მიმართულებით ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება-განახლების საფუძველზე.

პნპეპ შემუშავდა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით, ამისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მონაწილეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული არიან პლასტიკის ნარჩენების მართვის საკითხებში. ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უწევდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. დოკუმენტი ასევე განხილული იქნა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან. დოკუმენტი შემუშავებული იქნა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდა CENN საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

¹ European Green Deal. Brussels, 11.12.2019 COM(2019) 640 final

² An EU action plan for the Circular Economy. Brussels, 2.12.2015 COM(2015) 614 final


³ A European Strategy for Plastics in a Circular Economy Brussels, 16.1.2018; COM(2018) 28 final

2 სიტუაციის ანალიზი

2.1 მეთოდოლოგია

ქვეყანაში პლასტიკის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესწავლისა და, შესაბამისი მონაცემების საფუძველზე, არსებული პრობლემების, მათი შედეგებისა და გამომწვევი მიზეზების დასადგენად ჩატარდა სიტუაციის ანალიზი.

არსებული ვითარების რეალისტურად შეფასებისა და სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის საჭირო, მტკიცებულებებზე დამყარებული ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, გამოყენებული იქნა პრობლემების ხის ანალიზის მეთოდი. ანალიზი შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა:



ნახაზი 1: პრობლემების ხის ანალიზის მეთოდი

სიტუაციის ანალიზის პროცესში მოხდა სახელმწიფო უწყებებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისგან მონაცემების შეგროვება და მათი თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი. ჩატარდა შეხვედრები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან მოსაზრებების გაცვლისა და ძირითადი მიგნებების და არსებული სიტუაციის შესახებ საერთო ხედვაზე ჩამოსაყალიბებლად.

სიტუაციის ანალიზში განხილულია შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია ქვეყანაში განხორციელებული რეფორმებისა და პლასტიკის ნარჩენების მართვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ;
- პლასტიკის ადგილობრივი წარმოებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზი;
- პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნა და გარემოს დაბინძურება;
- პლასტიკის სეპარაცია და რეციკლირება;
- ალტერნატიული ნედლეული;
- მიკროპლასტიკთან დაკავშირებული სიტუაცია;
- საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების შესრულება;
- არსებული ხარვეზები, გამოწვევები და მათი გამომწვევი მიზეზები.

2.2 საქართველოში განხორციელებული რეფორმები

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაც. ნარჩენების არასწორი მართვით გამოწვეული პრობლემები კომპლექსური ხასიათის იყო. გარემოს დაბინძურების მთავარ წყაროს უკონტროლოდ განთავსებული საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები ან სტანდარტების შეუსაბამო ნაგავსაყრელები წარმოადგენდა. ქვეყანაში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მნიშვნელოვანი ნაწილი სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ხვდებოდა. ამავდროულად, ოფიციალური ნაგავსაყრელები, რომელთა ექსპლუატაციაც გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის გარეშე ხორციელდებოდა, საფრთხეს უქმნიდა გარემოს. პრობლემის მასშტაბები ყოველდღიურად იზრდებოდა და ნარჩენების მართვის სფეროში დაგროვებული ამოცანები გარემოსა და ჯანმრთელობის კუთხით მაღალი რისკის მატარებელი ხდებოდა.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, უკანასკნელ წლებში ნარჩენების მართვის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. 2014 წელს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელშიც განსაზღვრულია რიგი მოთხოვნებისა ქვეყანაში ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად. 2015 წლის 15 იანვარს ქვეყანაში ძალაში შევიდა „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც ემყარება ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებსა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. კოდექსით განსაზღვრულია ნარჩენების მართვის სფეროში ჩართული სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციები და ზოგადი ვალდებულებები, რომლებიც 2015 წლამდე საქართველოში საკანონმდებლო დონეზე ზუსტად არ იყო განსაზღვრული.

კოდექსით ასევე განსაზღვრულია ნარჩენების მართვასთან და გარემოს დაბინძურებასთან/დანაგვიანებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, ასევე, დადგენილია ფინანსური სანქციების ზღვრული ოდენობები და ზოგადი წესები, რომლებიც შეეხება ნარჩენებთან დაკავშირებულ ყველა სამართალდარღვევას.

„ნარჩენების მართვის კოდექსიდან“ გამომდინარე, ქვეყანაში ნარჩენების მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა 20-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. 2016 წელს დამტკიცდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030 წწ.), რომელიც განსაზღვრავს 15-წლიან მიზნებსა და ამოცანებს და ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2020 წწ.), რომელიც მოიცავს სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს ხუთ წლიან პერიოდში. მთავრობის მიერ დეკლარირებული პოლიტიკური კურსის მიხედვით, საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა.

ქვეყანა ცდილობს, მოკლე დროში ეფექტიანად გაუმკლავდეს დაგროვებულ გარემოსდაცვით პრობლემებს და ჩაერთოს საერთაშორისო დონეზე არსებული გამოწვევების დაძლევაში, მათ შორის ისეთ მასშტაბურ საკითხში, როგორცაა პლასტიკის ნარჩენებით გარემოს დაბინძურება. ამის დასტურია ის, რომ 2018 წლიდან ქვეყანამ აქტიური მუშაობა დაიწყო პლასტიკის პარკების გამოყენების შეზღუდვაზე. საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი – პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის შესახებ, რომელიც ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე პლასტიკის პარკების, ასევე ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების

წარმოებასთან, იმპორტსა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებს. მომზადებულია შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის სამუშაო ვერსია, რომლის რეგულირების სფეროში პლასტიკის შეფუთვის ნარჩენებიც შედის. ეს არის პლასტიკის ნარჩენების საკითხის დარეგულირებისაკენ მიმართული პირველი ნაბიჯები. თუმცა, საქართველოს მთავრობა აფართოებს ღონისძიებებს და გეგმავს თანმიმდევრული და გონივრული პოლიტიკის შემუშავებას აღნიშნული მიმართულებით.

2.3 საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში ნარჩენების მართვა, კერძოდ, პლასტიკის ნარჩენების მართვა შემდეგი კანონებითა და საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით რეგულირდება:

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (#519, 1996 წლის 10 დეკემბერი. ქ. თბილისი)
აღნიშნული კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ (#2994-რს. 2014 წლის 26 დეკემბერი. ქ. ქუთაისი)

მოცემული კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას.

საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ (#631. 1995 წლის 8 თებერვალი. ქ. თბილისი)

აღნიშნული კანონი არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ (#297/ნ 2001 წლის 16 აგვისტო. ქ. თბილისი)

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არეგულირებს წყალმომარაგების სისტემების წყლის ხარისხის, ზღვის სანაპირო წყლის დაცვისა და გამოყენების, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, აგრეთვე, რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრო-მაგნიტური გამოსხივების, ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების სანიტარიულ წესებსა და ჰიგიენურ ნორმებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, (#425 2013 წლის 31 დეკემბერი. ქ. თბილისი)

აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არეგულირებს სამეწარმეო საქმიანობის იმ სხვადასხვა სახეს, რომელსაც შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ზედაპირული წყლების მდგომარეობაზე, აგრეთვე, ზედაპირული წყლის ობიექტების ხარისხზე დაბინძურების წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ (#54, 2014 წლის 14 იანვარი, ქ. თბილისი)

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დანიშნულებათა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესის დადგენა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა ან/და სამეურნეო საქმიანობის პროცესში გარემოსათვის მიყენებულ ზიანს და იმ შემოსავალს, რომელიც არ მიუღია სახელმწიფოს და რომელსაც იგი მიიღებდა საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების ჯეროვანი შესრულებისას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ (#70 2014 წლის 15 იანვარი, ქ. თბილისი)

მოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ადგენს სამუშაო ზონის ჰაერში ქიმიური ნივთიერებების ჰიგიენურ ნორმატივებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების წუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ (#426 2015 წლის 17 აგვისტო, ქ. თბილისი)

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიზანია, ნარჩენების კლასიფიკაციისა და მათი სახიფათო თვისებების დადგენის წესის განსაზღვრა ნარჩენების მართვის კოდექსისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტების სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ (#159, 2016 წლის 29 აპრილი, ქ. თბილისი)

აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი განსაზღვრავს მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვისა და ოპერირების კრიტერიუმებსა და წესებს, მათ შორის კრიტერიუმებსა და რეკომენდაციებს შეგროვების, კონტინერების, ნაგავმზიდების სახეობების, საქართველოში ნარჩენების წარმოქმნის საშუალო მაჩვენებელსა და ნარჩენების სიმკვრივის საშუალო მაჩვენებელს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ (#144, 2016 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი)

დადგენილების თანახმად, ყველა ის მომგებიანი და არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გარკვეულ რაოდენობას წარმოქმნის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩათვლით, ვალდებულია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე ელექტრონულად დაარეგისტრიროს ნარჩენების შეგროვების, დროებითი შენახვის (50 ტონაზე მეტი არასახიფათო მუნიციპალური ნარჩენის და 10-50 ტონა სახიფათო ნარჩენის შემთხვევაში) და წინასწარი დამუშავების საქმიანობები. სარეგისტრაციო ფორმაში შეტანილი უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის/ოპერატორის, შენახული ნარჩენების რაოდენობის, შენახვის ობიექტის პარამეტრების, წინასწარი დამუშავების მეთოდებისა, და სხვ. შესახებ.

საქართველოს მთავრობის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების თაობაზე“ (#143, 2016 წლის 29 მარტი. ქ. თბილისი) განსაზღვრავს ნარჩენების გადაზიდვის/ტრანსპორტირების წესებს. ტექნიკური რეგლამენტი ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ნარჩენების შეგროვების ინდივიდუალური სქემების მქონე ორგანიზაციებსა და ნარჩენების ტრანსპორტირების იმ ოპერატორებს, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ემსახურებიან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ (# 472, 2018 წლის 14 სექტემბერი. ქ. თბილისი)

რეგლამენტი კრძალავს ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პარკებს და მოითხოვს მრავალჯერადი გამოყენების/ბიოდეგრადირებადი/კომპოსტირებადი პარკების გამოყენებას. ბიოდეგრადირებადი/კომპოსტირებადი პარკები უნდა აკმაყოფილებდეს EN 13432:2000 სტანდარტს და შესაბამისად ეტიკეტირებული უნდა იყოს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ (#422, 2015 წლის 11 აგვისტო. ქ. თბილისი) და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება აღრიცხვა-„ანგარიშგების ელექტრონული ფორმებისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ“ (#2-11, 2018 წლის 9 იანვარი. ქ. თბილისი)

აღნიშნული საკანონმდებლო დოკუმენტები ნარჩენების დიდი რაოდენობით წარმომქმნელ კომპანიებსა და ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაში ჩართულ ოპერატორებს ავალდებულებს ნარჩენების აღრიცხვის წარმოებას და ყოველწლიური ელექტრონული ანგარიშგების განხორციელებას; განსაზღვრავს ყოველწლიური ანგარიშგების ფორმატსა და შინაარსს; მოითხოვს შემდეგი სახის ანგარიშგების წარდგენას: წლიური ანგარიში ნარჩენების რაოდენობის შესახებ; წლიური ანგარიში ნარჩენების დამუშავების შესახებ; წლიური ანგარიში ნარჩენების განთავსების შესახებ.

ტექნიკური რეგლამენტის „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (# 346, 2019 წლის 26 ივლისი. ქ. თბილისი)

დადგენილებას შეაქვს ცვლილებები #472 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებში, კერძოდ, ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება არ ვრცელდება:

- საქონლის ან/და პროდუქტის შეფუთვისთვის გათვალისწინებულ პლასტიკის პარკებზე, როდესაც პლასტიკის პარკი გამოიყენება მწარმოებლიდან მომხმარებელამდე ჯაჭვში როგორც ნედლეულის, ასევე დამუშავებული პროდუქტის მოსათავსებლად, დასაცავად, გადასატანად, მისაწოდებლად და მისი მოცილება უშუალოდ ნედლეულის/პროდუქტის მოხმარების დროს ხდება;
- პლასტიკის პარკის, ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პარკისა და ოქსობიოდეგრადირებადი პლასტიკის პარკის ექსპორტის მიზნით წარმოებაზე (გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის 41 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისა);
- არანაკლებ 50 მიკრონი სისქისა და არანაკლებ 45X70 სმ ზომის პლასტიკის პარკებზე;
- თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში გაყიდული საქონლის მოსათავსებლად განკუთვნილი პლასტიკის

პარკების იმპორტსა და რეალიზაციაზე. ამასთან, თითოეულ პარკზე, კომპიუტერული შრიფტით, ქართულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილი უნდა იყოს წარწერა – „თავისუფალი ვაჭრობა“ და „DUTY FREE“.

2.4 პლასტიკის ნარჩენების მართვა საქართველოში

2.4.1 მთავარი პრობლემები

დედამიწაზე ყოველწლიურად 322 მილიონი ტონა⁴ პლასტიკის პროდუქტი იწარმოება – ლეგოს აგურებით დაწყებული და იოგურტის ქილებით, ბადის სკამებით, სათევზაო ბადეებით, ველოსიპედის საბურავებით, დამცავი სათვალეებით, მანქანის ნაწილებით, მობილური ტელეფონებით, ქარის ტურბინების ფრთებით თუ სამედიცინო შპრიცებით დამთავრებული – სამყარო სავსეა პლასტიკით.

პლასტიკი ბუნებაში არ გვხვდება, იგი ხელოვნურად იწარმოება. არსებობს პლასტიკის ბევრი სახეობა. მაგალითად, ის შეიძლება იყოს, ელასტიური, რბილი, მყარი, მჭავაგამძლე ან საიზოლაციო. ზოგი პლასტიკი გამჭვირვალეა, ზოგი – ფერადი. იგი საკმაოდ დიდხანს ძლებს. პლასტიკი პრაქტიკულიცაა გამოყენების თვალსაზრისით და ამავდროულად, პრობლემებსაც ქმნის, რადგან გარემოში მოხვედრის შემდეგ სწრაფად არ ქრება. პლასტიკი არ ღპება ისე, როგორც ხე ან სხვა ბუნებრივი მასალა, ის მცირე ზომის ნაწილაკებად იშლება.

პლასტიკი ჩვენი ეკონომიკისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მისი წარმოება, გამოყენება და განთავსება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. ამიტომ, აუცილებელია არსებული პრობლემების მოგვარება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ცირკულარ მიდგომაზე გადასვლა.

ქვემოთ აღწერილია საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ვითარება და პრობლემები პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამის პრიორიტეტების მიხედვით.

2.4.2 პლასტიკის წარმოება და ვაჭრობა

2.4.2.1 საერთაშორისო ვაჭრობა

საქართველოში პლასტიკის წარმოებისა და საერთაშორისო ვაჭრობის (იმპორტი, ექსპორტი, რე-ექსპორტის) ტენდენციის ანალიზი აჩვენებს, რომ პლასტიკის რაოდენობა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იზრდება და მომავალ წლებშიც შენარჩუნდება ზრდის ეს ტენდენცია (ცხრილი 1).

წარმოებაში გამოყენების მიზნით საქართველოში ძირითადად შემდეგი სახის პლასტიკი შემოდის: PE (პოლიეთილენი), PET (პოლიეთილენტერფტალატი), PP (პოლიპროპილენი), PVC (ვინილის პოლიქლორიდი), PU (პოლიურეთანი) და PS (პოლისტიროლი). გარდა

⁴ წყარო: პლასტიკის ევროპული სტრატეგია ცირკულარულ ეკონომიკაში

ამისა, საქართველოში შემოდის პლასტიკის პროდუქტი, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებით, მაგ., მშენებლობაში, შესაფუთად ან სხვა მიზნით გამოიყენება. რაც შეეხება ექსპორტს, საქართველოდან გადის როგორც ნედლეული, ასევე სხვადასხვა სახის პლასტიკისგან დამზადებული ცალკეული პროდუქტი. პლასტიკის სექტორის მთავარი საექსპორტო საქონელია საბაზისო პოლიმერები, როგორცაა პოლიეთილენი, აგრეთვე პოლიპროპილენი, პოლისტიროლი და სხვა პოლიმერები. აღსანიშნავია, რომ პლასტიკის ნედლეულისა და პლასტიკის პროდუქტის რე-ექსპორტის მოცულობა საქართველოში საკმაოდ დაბალია. რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, საქართველოში იწარმოება პლასტიკის ფილები, ფირები, მილები, პროფილები, შესაფუთი მასალები და სხვ..

ცხრილი 1: ჯამური საერთაშორისო ვაჭრობა და ადგილობრივი წარმოება (ტონა წელიწადში)

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ჯამური ექსპორტი (ტონა)	825	3 546	6 052	6 418	4 905	6 258	9 416	12 281	12 605	9 072
ჯამური რე-ექსპორტი (ტონა)	166	1 415	1 804	2 580	1 714	1 713	1 912	4 338	5 251	3 258
ჯამური იმპორტი (ტონა)	79 348	97 299	96 139	108 725	106 196	111 626	125 996	137 369	147 915	145 433
ადგილობრივი წარმოება (ტონა)	27 454	21 351	21 241	25 454	25 504	32 535	44 300	42 503	45 912	47 804*
ადგილობრივ წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობა	4 159	4 611	5 021	6 256	6 734	7 152	6 838	6 954	6 610	5 973
ადგილობრივ წარმოებაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი	516	639	643	561	816	721	738	975	1 143	1 197


* 2020 წლის მონაცემი წინასწარია; 2020 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემი საბოლოო არ არის⁵.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2020 წლის ექსპორტის მაჩვენებელი 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10-ჯერ აღემატება, ხოლო წლიური ზრდა 52%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია რე-ექსპორტის ზრდაც, სადაც წლიური ზრდის მაჩვენებელი 101%-ის ტოლია. მზარდია იმპორტიც. 10 წლის განმავლობაში იმპორტის ჯამურმა ზრდამ 83%-ის მიაღწია (ზრდის საშუალო მაჩვენებელი - 7%), ადგილობრივი წარმოება ბოლო 10 წლის მანძილზე 74%-ით გაიზარდა (ზრდის საშუალო მაჩვენებელი - 8%).

⁵ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2.4.2.2 იმპორტი და ექსპორტი ქვეყნების მიხედვით

სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს ექსპორტის 80% სომხეთსა (44%) და აზერბაიჯანზე (36%) მოდის. საქართველოში იმპორტირებული პლასტიკის პროდუქტისა და ნარჩენების 59% თურქეთიდან (44%) და ჩინეთიდან (14%) შემოდის. რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან იმპორტზე მოდის იმპორტის ჯამური მაჩვენებლის 5%-5%.



გრაფიკი 1: პლასტიკის პროდუქტის და ნარჩენების იმპორტი და ექსპორტი ქვეყნების მიხედვით

2017-2020 წლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია ნებართვა 47 827 ტონა პლასტიკის ნარჩენის იმპორტზე.

წელი	2017	2018	2019	2020
პლასტიკის ნარჩენი (ტონა წელიწადში)	10 895	2 200	9 760	24 972

საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემების თანახმად, ბოლო 3 წლის მანძილზე ჯამურად საქართველოში იმპორტირებული იქნა 734.239 ტონა პლასტიკის ნარჩენი.

ცხრილი 2: პლასტიკის ნარჩენების იმპორტი (ტონა)

წელი	2019	2020	2021 (იანვარი-ივლისი)
რაოდენობა, ტონა	522.824	162.127	49.287

სულ 734.239

2.4.2.3 ადგილობრივი წარმოება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად, საქართველოში დაახლოებით 1 375 კომპანია პლასტიკის პროდუქციას აწარმოებს, ხოლო დაახლოებით 100 კომპანია - პლასტიკის შეფუთვის. ადგილობრივი კომპანიები წარმოებაში საბაზისო პოლიმერებს - PVC, PE და PET-ს იყენებენ.

ცხრილიდან ჩანს, რომ PET გრანულების წარმოებას პირველი ადგილი უჭირავს ქვეყანაში როგორც რაოდენობის, ისე ფულადი ღირებულების თვალსაზრისით. 2020 წელს საქართველოში პლასტიკის პროდუქტის წარმოების მოცულობამ დაახლოებით 229.5 მილიონი ლარი შეადგინა.

ცხრილი 3. პლასტიკის პროდუქტის წარმოება საქართველოში (ტონა წელიწადში)

პროდუქტი	ერთეული	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
პლასტიკის ფილების, ფირების, მილებისა და პროფილების წარმოება	ტონა	4 798	6 297	5 954	6 761	7 674	13 216	16 221	13 212	15 070	14 919*
	ათასი ლარი	18 114	22 079	19 682	26 063	31 075	56 107	66 273	53 212	64 319	70 563*
პლასტიკის შეფუთვის წარმოება	ტონა	17 067	5 945	5 314	6 758	8 432	8 826	11 747	11 916	14 392	12 083*
	ათასი ლარი	20 944	22 109	24 329	29 191	40 562	49 151	54 784	56 678	72 281	66 489*
გრანულების წარმოება	ტონა	173 835	270 781	286 966	390 750	353 040	348 524	552 886	642 883	670 798	821 582*
	ათასი ლარი	24 608	33 957	35 641	44 528	39 102	39 816	66 439	79 842	81 836	92 421*

მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში პლასტიკის პროდუქტის წარმოების შედეგად მიღებული ეკონომიკური ღირებულება საკმაოდ მცირეა. 2020 წელს პლასტიკის ფილების, ფირების, მილების, პროფილებისა და შეფუთვის მწარმოებლების ჯამურმა ბრუნვამ 567 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო დასაქმებული და დაქირავებული ადამიანების რაოდენობამ დაახლოებით 6 600, 986 – 1 300 ლარი საშუალო ხელფასით. იხილეთ ცხრილები 4 და 5:

ცხრილი 4. პლასტიკის ფილების, ფირების, მილებისა და პროფილების წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
ბრუნვა (მილიონი ლარი)	129	166	161	240	244	307	332	376	413	384*
საბოლოო პროდუქტის წარმოება (მილიონი ლარი)	115	148	143	218	229	301	313	350	393	371*
დასაქმებულთა რაოდენობა	2 504	2 854	2 853	3 865	3 939	3 996	3 681	3 884	3 780	13 328*
დაქირავებულთა რაოდენობა	549	585	716	795	926	1 051	1 042	1 012	941	3 629*
დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)	397	473	508	491	599	633	701	854	986	936*
ხელფასის ჯამური რაოდენობა (მილიონი ლარი)	11	15	16	19	23	24	27	33	38	34*

ცხრილი 5. პლასტიკის შეფუთვის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
ბრუნვა (მილიონი ლარი)	51.7	69	69.3	90.7	98.6	109.0	139.8	178.2	206.8	183*
საბოლოო პროდუქტის წარმოება (მილიონი ლარი)	43.3	56.5	59.3	78.7	88.3	101.4	127.9	160.2	186.9	176*
დასაქმებულთა რაოდენობა	557	587	736	801	943	1054	1073	1046	948	3687*
დაქირავებულთა რაოდენობა	549	585	716	795	926	1051	1042	1012	941	3629*
დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)	634.9	804.2	778.9	631.4	1032.3	809.7	775.2	1095.5	1300.4	1261*
ხელფასის ჯამური რაოდენობა (მილიონი ლარი)	4.2	5.6	6.7	6.1	11.5	10.2	9.7	13.3	14.9	14*

საქართველოში პლასტიკის პროდუქტის მწარმოებელი ყველა კომპანია მცირე და საშუალო ზომისაა. 2020 წელს პლასტიკის შეფუთვის მწარმოებელი კომპანიების თანამშრომლების საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში არსებული საშუალო თვიური ხელფასის ოდენობას 3%-ით აღემატებოდა და 1 227 ლარს შეადგენდა (2020 წ.). ამავე დროს, 2011-2019 წწ. პერიოდში ბრუნვა და წარმოება მუდმივად იზრდებოდა. 2020 წელს, პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გამო, ორივე მაჩვენებელი შემცირდა.

2.4.2.4 რეზიუმე

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად, გასული 10 წლის მანძილზე ქვეყანაში (წარმოებული და იმპორტირებული) პლასტიკის პროდუქტის რაოდენობა 71%-ით გაიზარდა, ყოველწლიურად საშუალოდ 6%-ით. გასული 10 წლის მანძილზე PET გრანულების რაოდენობა 122%-ით გაიზარდა (საშუალო წლიური ზრდა 10%). მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთჯერადი ჭურჭლის რაოდენობაც: 2020 წლის მაჩვენებელი 2011 წლის მაჩვენებელს 135%-ით აღემატება. სხვა დანარჩენი პლასტიკის პროდუქტის რაოდენობის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი გასული 10 წლის მანძილზე 8%-ს შეადგენდა (სხვა პლასტიკის წილი პლასტიკის პროდუქტის მთლიან რაოდენობაში 75%-ია), თუმცა 2020 წლის შესაბამისი მონაცემი 2011 წლის მონაცემს 90%-ით აღემატება. იხილეთ ცხრილები 6 და 7.

ცხრილი 6: საქართველოში პლასტიკის პროდუქტის წლიური ადგილობრივი წარმოება და იმპორტი (ტონა)


წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
PET გრანულები	11 200	15 400	15 000	17 400	14 800	15 300	19 000	19 800	20 400	24 900*
პლასტიკის შეფუთვის წარმოება	21 800	11 400	12 000	13 500	14 700	15 000	18 300	18 600	19 800	17 600*
ერთჯერადი ჭურჭელი	800	900	1 000	1 100	1 200	1 500	1 700	1 900	2 200	2 000*
სხვა	71 900	85 900	81 500	93 200	94 400	104 300	120 000	123 000	133 600	136 400*

სულ	105 800	113 700	109 500	125 200	125 100	136 200	159 000	163 300	176 000	180 900*
-----	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	---------	----------

ცხრილი 7: საქართველოში წლიურად წარმოებული და იმპორტირებული პლასტიკის პროდუქტის პროცენტული მაჩვენებელი

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
PET გრანულები	10.6%	13.6%	13.7%	13.9%	11.8%	11.3%	12.0%	12.1%	11.6%	13.7%
პლასტიკის შეფუთვა	20.6%	10.1%	11.0%	10.8%	11.8%	11.0%	11.5%	11.4%	11.2%	9.8%
ერთჯერადი ჭურჭელი	0.8%	0.8%	0.9%	0.9%	0.9%	1.1%	1.1%	1.2%	1.2%	1.1%
სხვა	68.0%	75.5%	74.5%	74.4%	75.5%	76.6%	75.5%	75.3%	75.9%	75.4%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

გრაფიკებზე ნაჩვენებია საქართველოში პლასტიკის წარმოებისა და იმპორტის ტენდენცია წლების მიხედვით.



გრაფიკი 2: პლასტიკის პროდუქტის ჯამური წარმოება და იმპორტი - რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი

საქართველოში პლასტიკის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და წარმოების ანალიზი აჩვენებს, რომ 2020 წელს საქართველოში წარმოებული პლასტიკის საბოლოო პროდუქტების საერთო ღირებულებამ 176.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5.7%-ით ნაკლებია (186.9 მლნ ლარი). პლასტიკის სექტორის ზრდის უარყოფითი მაჩვენებელი ძალიან ახლოსაა მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირების მაჩვენებელთან, რომელიც 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 6.2%-ით შემცირდა (ძირითადად კოვიდ-19 პანდემიის გამო). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ პლასტიკის სექტორი ქვეყნის ეკონომიკის შესაბამისად ვითარდება.

პლასტიკის წარმოების წლიური გამომუშავება 2020 წელს (176.3 მლნ ლარი) იმავე წლის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.4%-ს შეადგენს. 2020 წლის განმავლობაში ყველა

ტიპის პლასტიკის პროდუქტის მთლიანმა იმპორტმა 268 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წელს საქართველოს მთლიანი იმპორტის 3.3%-ია (2020 წელს იმპორტის მთლიანმა მოცულობამ 8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა). მონაცემების თანახმად, 2020 წლის განმავლობაში ყველა ტიპის პლასტიკის პროდუქციის მთლიანმა ექსპორტმა 17 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტის 0.5%-ია (2020 წელს ექსპორტის მთლიანმა მოცულობამ 3.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა). პლასტიკის წარმოებაში დასაქმებულია 5 973 ადამიანი, რაც ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ 0.5%-ს შეადგენს (საქართველოში დასაქმებულია სულ 1 197 900 ადამიანი).

2.4.3 ბიოდეგრადირებადი პლასტიკი

ნედლეულის ალტერნატიულ სახეს - ბიოდეგრადირებად პლასტიკს - ბაზრის ძალიან მცირე წილი უჭირავს. *პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის* (2018 წლის 14 სექტემბერი) თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებულია მხოლოდ EN 13432:2000 სტანდარტის შესაბამისი ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია პლასტიკის და ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. თუმცა, აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის აღსრულება სრულად ვერ ხდება გარკვეული ხარვეზების გამო, რაც დაკავშირებულია COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეულ პანდემიასთან, არასაკმარის მონიტორინგის სისტემასთან (შესაბამისი ლაბორატორიის არარსებობა, მუნიციპალიტეტებში მაკონტროლებელი ორგანოების არასაკმარისი ცოდნა) და ასევე, ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებაზე შესაბამისი სერტიფიკატების მიღების პროცესის დროში გაწელვასთან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ ფლობს ინფორმაციას საქართველოში ბიოდეგრადირებადი მასალის (გრანულები, პარკები) იმპორტის და ბიოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების ადგილობრივი წარმოების რაოდენობების შესახებ. თუმცა, ქვეყანაში მოქმედ 3 კომპანიას მიღებული აქვს ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებაზე საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანოს სერტიფიკატი (TUV AUSTRIA).

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სახის ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პროდუქტები (პარკების გარდა) საქართველოში რეგულირებას არ ექვემდებარება, არ ხდება ქვეყანაში მათი წარმოებისა თუ გამოყენების წახალისება. გარდა ამისა, საქართველოში არ არის აკრძალული სხვა სახის ოქსოდეგრადირებადი პლასტიკის პროდუქტი.

2.4.4 მიკროპლასტიკი

მიკროპლასტიკის პრობლემა ქვეყანაში შესწავლილი არ არის. შესაბამისად, არ არსებობს მიკროპლასტიკით დაბინძურების მონაცემები და დაბინძურების საწინააღმდეგო რეგულაციები. დაინტერესებული მხარეების ყველა ჯგუფში ინფორმირებულობის დონე მიკროპლასტიკის უარყოფითი ზემოქმედების შესახებ ძალიან დაბალია, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

2.4.5 პლასტიკის ნარჩენებისა და დანაგვიანების მაჩვენებლები

საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 1.1 მილიონი ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება და ეს ტენდენცია მზარდია. ნარჩენების შემადგენლობის კვლევის მონაცემების თანახმად, პლასტიკის ნარჩენები საქართველოში შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული მყარი მუნიციპალური ნარჩენების დაახლოებით 12-16 %-ს შეადგენს. შესაბამისად, ნაგავსაყრელებზე განთავსებული პლასტიკის ნარჩენების წლიური რაოდენობა 132 000 – 176 000 ტ ფარგლებში მერყეობს.

პლასტიკის ნარჩენების დიდი რაოდენობა გარემოში ხვდება როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში არსებული წყაროებიდან. მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების თანახმად, რომლებიც საკრებულოების მიერ იქნა დამტკიცებული ყველა მუნიციპალიტეტში 2017 წელს, სტიქიური ნაგავსაყრელები თითქმის ყველა სოფელშია განთავსებული და ძირითადად მდინარეების ნაპირებზე და ხევებში, ასევე ზღვის სანაპიროზე გვხვდება. ოფიციალური მონაცემები სტიქიურ ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების შემადგენლობის შესახებ არ მოიპოვება. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების, დონორების მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტის, აქტივისტისა, და სხვ. მიერ ჩატარებული დასუფთავების აქციების შედეგად ირკვევა, რომ ნარჩენების მთლიან რაოდენობაში პლასტიკის ნარჩენებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს.

ევროკომისიისა (EC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტების: შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგი (EMBLAS I and II) და შავ ზღვაში გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესება - სპეციალური ღონისძიებები (EMBLAS Plus) კვლევის შედეგების თანახმად, პლასტიკი საქართველოს პლაჟებზე დაგროვილი ნარჩენის ყველაზე დიდ წილს შეადგენს და ნარჩენების მთლიანი რაოდენობის 95%-ს აკარბებს.

ცხრილი 8: 2019 წელს საქართველოს სანაპირო ზოლზე დაგროვებულ ნარჩენში პლასტიკის (%) მაჩვენებელი

მდებარეობა	წყალწმინდა	სარფი	მალთაყვა	ქობულეთი	ურეკი
პროცენტი	98.2	68.7	96.8	95.5	97.9

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი ნარჩენების უკანონოდ განთავსების შემთხვევაში განსაზღვრავს ჯარიმას 80 - 3 000 ლარის ფარგლებში და დამბინძურებელს ავალდებულებს, დაასუფთავოს მის მიერ დაბინძურებული ტერიტორია. თუმცა, სუსტი მონიტორინგის, ინფრასტრუქტურის (კონტეინერები, ნაგავმზიდები) ნაკლებობისა და მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონის გამო, სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემა საქართველოში კვლავაც აქტუალურია.

2.4.6 პლასტიკის ნარჩენების სახეები

საქართველოში, ხმარებიდან ამოღებული პლასტიკის პროდუქტის, მათ შორის პლასტიკის შეფუთვის, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების მაჩვენებელი ძალიან დაბალია, ასევე აუთვისებელია პლასტიკის ნარჩენების რეციკლირების პოტენციალიც. ამავე დროს, ქვეყანაში მაღალია **ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის** პროდუქტის რაოდენობა და ნაგავსაყრელებზე პლასტიკის ნარჩენების განთავსების მაჩვენებელი. ნარჩენების შემადგენლობის კვლევების თანახმად, პლასტიკის ნარჩენები ნაგავსაყრელებზე განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 12-16%-ს შეადგეს და ძირითადად შედგება PET ბოთლებისაგან (2-4%), პლასტიკის პარკებისა (5-8%) და სხვა პლასტიკის ნარჩენებისგან, (3-8%). 2020 წელს საქართველოში 1.1. მლნ ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნა, საიდანაც 168 000 ტონა იყო პლასტიკი, რომელიც შედგებოდა⁶

- 40 000 ტონა PET ბოთლისგან,
- 80 000 ტონა პლასტიკის პარკის და ტომრისგან
- 48 000 ტონა სხვა პლასტიკის ნარჩენებისგან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2020 წელს საქართველოში წარმოებულ და იმპორტირებულ იქნა 180 900 ტონა პლასტიკის პროდუქტი. ანალიზი აჩვენებს, რომ ამ რაოდენობის 93% (168 300 ტონა) ნარჩენად გადაიქცა, რომლის 22%-ს PET ბოთლები, 44%-ს პლასტიკის პარკები და ტომრები, ხოლო 27%-ს სხვა პლასტიკის ნარჩენები შეადგენენ. ცხრილ 9-ში შეჯამებული სახით წარმოდგენილია ბოლო 10 წლის მონაცემების ანალიზი.

ცხრილი 9: პლასტიკის ნარჩენები (ტონა)⁷

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
PET ბოთლები	23 200	24 900	24 000	27 400	27 400	29 800	34 800	35 700	38 500	39 600*
პლასტიკის პარკები და ტომრები	47 000	50 500	48 600	55 600	55 500	60 500	70 600	72 500	78 100	80 300*
სხვა პლასტიკი	28 300	30 400	29 300	33 500	33 500	36 400	42 500	43 700	47 100	48 400*
ჯამური პლასტიკის ნარჩენები	98 400	105 800	101 900	116 500	116 400	126 700	147 900	151 900	163 700	168 300*

ცხრილი 9 აჩვენებს, რომ პლასტიკის პროდუქტის რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 6%-ია, 2020 წლის მაჩვენებლები 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს 71%-ით აღემატება.

⁶ გამოთვლები გაკეთდა 2020 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარებული ნარჩენების შემადგენლობის კვლევის შედეგების საფუძველზე, რომელიც აჩვენებს, რომ პლასტიკის ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაახლოებით 15.3%-ს შეადგენენ. გარდა ამისა, გაკეთებულია დაშვება, რომ ნარჩენების შემადგენლობა მთელ ქვეყანაში (სხვა რეგიონებში) თბილისის ნარჩენების შემადგენლობის მგავსია.

⁷ იხ. ზედა სქოლიო

2.4.7 პლასტიკის რეციკლირება

ამჟამად საქართველოში პლასტიკის ნარჩენების რეციკლირებას 26 კომპანია ახორციელებს. მათი ჯამური საპროექტო სიმძლავრე წელიწადში დაახლოებით 184 000 ტონას შეადგენს. ამ კომპანიების საპროექტო სიმძლავრეები წელიწადში 50 ტონიდან 120 000 ტონამდე მერყეობს, ხოლო კომპანიებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი დაახლოებით 500 - 800 ლარია.

ცხრილ 10-ში წარმოდგენილია რეციკლირების კომპანიები, მათ მიერ გამოყენებული ნედლეული, პროდუქცია და საპროექტო სიმძლავრე.

ცხრილი 10: პლასტიკის გადამამუშავებელი კომპანიები

No	კომპანიის სახელწოდება	ნედლეული	პროდუქცია	საპროექტო წარმადობა, ტ/წელიწადში
1	ი.მ. სერგო ჯოჯიშვილი	PE, PP	გრანულები, მცირე ზომის სამშენებლო და საოჯახო პროდუქცია	693
2	შპს კვლ ეკო სოლუმენსი	PE, PET, PP, PVC და საბურავები	სალუმეღე საწვავი	4 000
3	შპს ლიდერ პლასტიკი	PE, PP, PS	გრანულები	960
4	შპს უზნ ჯგუფი	PET, PE, PP	PET ფლექსი, გრანულები და პლასტიკის მილები	7 620
5	შპს „საქართველოს ჰონგკუანი“	PMMA	მეთილის მეტაკრილატი	20 000
6	შპს LMY	PET, PP	ფლექსი, გრანულები	200
7	შპს ზუგო	PE	პოლიეთილენის პარკები	840
8	შპს ჯეო პოლიმერი	PE, PP	გრანულები	1 584
9	შპს ლაზუ ჯგუფი	PE, PP	საწვავი	2 000
10	შპს პოლივიმი	PE, PET, PP, PVC.	ბოჭკო	2 270
11	შპს პოლი პლასტი	PE	პოლიეთილენის ფირი	90
12	შპს ჯორჯიან სინთეტიკ ოილ კომპანი	PE, PET, PP, PVC და რეზინ-ტექნიკური პროდუქტი	თხევადი საწვავი	3 120
13	ინდ მეწარმე ბორისი ძამამია	PE	პოლიეთილენის ფირი	62
14	შპს გლობალ რესაიკლინგ კო	PP, PE	გრანულები	120 000
15	ი/მ გივი მაგანია	PE	პოლიეთილენის ფირი	50
16	შპს POLIMARR	PE	პოლიეთილენის ფირი	285

17	შპს ჯი სი ელ	PE, PP	გრანულები	6 000
18	შპს ანიკო გოგოჭური	PE, PP	გრანულები	80
19	ი/მ რუბენ ფრუიძე	PE, PP	გრანულები	80
20	შპს სუფთა მსოფლიო	PE	გრანულები	300
21	შპს ჯეოპლასტი	PE	გრანულები	3 144
22	შპს ეკო ჯეო პეტი	PET	გრანულები	3 600
23	შპს სუფთა სამყარო	PE, PP, PET	გრანულები	4 000
24	შპს დავიჯვათ გარემო კვლავ წარმოებით	PE	გრანულები	700
25	შპს თი ეს სი	PE, PP	გრანულები	600
26	შპს ჰორიზონ ინტერნეიშენალ გრუფ	PE, PP	გრანულები	720

ამ 26 კომპანიიდან შუალედური პროდუქციის (დაქუცმაცებული პლასტიკი, გრანულა) წარმოებას 15 კომპანია ახორციელებს, რომელთა ჯამური წლიური წარმადობა დაახლოებით 150 000 ტონას შეადგენს. დანარჩენი 11 კომპანია სხვადასხვა სახის საბოლოო პროდუქციას (პოლიეთილენის პარკები, მეთილის მეტაკრილატი, პატარა ზომის სამშენებლო და საოჯახო ნივთები და სხვ.) აწარმოებს. ამ კომპანიების ჯამური წლიური საპროექტო წარმადობა დაახლოებით 34 000 ტონას შეადგენს.

კომპანიები განიცდიან მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულისა და თანამედროვე აღჭურვილობის ნაკლებობას, აგრეთვე დაბალია დასაქმებულების კვალიფიკაციის დონე. ამავე დროს, კომპანიების უმეტესობას საკუთარი პროდუქციის გასაღების სტაბილური ბაზარი აქვს.

2.4.8 პლასტიკის ნარჩენების სეპარაცია და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემა

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია პლასტიკის გადამუშავების შემდეგ სამიზნე მაჩვენებლებს განსაზღვრავს:

წელი	პლასტიკის გადამუშავების სამიზნე
2025	50 %
2030	80 %

შესაბამისად, 2025 წელს სეპარირებულად უნდა შეგროვდეს და რეციკლირებას დაექვემდებაროს 85 000 ტ პლასტიკი, ხოლო 2030 წელს - 135 000 ტონა. თუმცა ამ ტაპზე შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტი შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ, სადაც განსაზღვრულია მიზნობრივი მაჩვენებლები. შესაბამისად, სტრატეგიაში წარმოდგენილი

მიზნობრივი მაჩვენებლები შესაძლოა შეიცვალოს ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ.

ამავე დროს, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ყველა მუნიციპალიტეტმა ნარჩენების სეპარაციის სისტემები 2019 წლის 1 თებერვლიდან ეტაპობრივად უნდა დაწეროს.

თუმცა, მუნიციპალური ნარჩენების სეპარაციის სისტემა ქვეყანაში ჯერ საწყის ეტაპზეა და არ არის სრულად დანერგილი. ეს ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურის არარსებობით, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არასაკმარისი შესაძლებლობებით სისტემის დანერგვის თვალსაზრისით და ქვეყანაში არსებული რეციკლირების არასაკმარისი სიმძლავრეებით. ამასთანავე, არ არის განსაზღვრული დახარისხებული პლასტიკის ხარისხის სტანდარტები ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების დახმარებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაინერგა ნარჩენების სეპარაციის სისტემები. მაგალითად, WMTR II (ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში) პროგრამის (რომელიც განახორციელა CENN-მა USAID-ის მხარდაჭერით) მიერ თბილისის, ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნარჩენების სეპარაციის 47 კუთხე მოეწყო. ნარჩენების სეპარაციის კუთხეებში მოქალაქეებს შეუძლიათ სეპარირებული ნარჩენების - PET ბოთლების, ქაღალდის, მინისა და ალუმინის მიტანა მათი შემდგომი რეციკლირების მიზნით. ადგილობრივი მთავრობა აგროვებს დახარისხებულ ნარჩენს და აწვდის გადამამუშავებელ კომპანიებს.

ასევე, ქალაქ ქუთაისში, ევროკავშირის, შავი ზღვის პროგრამის ფარგლებში და ამერიკის საელჩოს დახმარებით განთავსებული იქნა 170 ცალი ბადისებრი კონტეინერი პლასტიკის ნარჩენების შესაგროვებლად. ნარჩენების შეგროვებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური. ქალაქის ადმინისტრაციულ შენობებში ასევე განთავსებულია 60 ცალი 240 ლიტრიანი კონტეინერი ქაღალდის ნარჩენების შესაგროვებლად.

საქართველოში შემუშავებულია მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ექვსი ტექნიკური რეგლამენტი. ამთავან ოთხი ტექნიკური რეგლამენტი: ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების, საბურავების ნარჩენების, ნარჩენი ბატარეებისა და აკუმულატორების და ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა. ტექნიკური რეგლამენტი ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების მართვის შესახებ დამტკიცების პროცესშია, ხოლო ტექნიკური რეგლამენტი შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ, პლასტიკის შეფუთვის ნარჩენების ჩათვლით, მთავრობას დასამტკიცებლად სავარაუდოდ 2021 წელს გადაეცემა.

შეფუთვის ნარჩენების მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემა, რომელიც მოიცავს დეპოზიტის სისტემას, ის ეკონომიკური ინსტრუმენტია, რომლის დანერგვაც ხელს შეუწყობს პლასტიკის ნარჩენების დახარისხებისა და რეციკლირების ეფექტიანი პროცესების დანერგვას და შედეგად შეამცირებს პლასტიკის ნარჩენების რაოდენობასა და პლასტიკით დანაგვიანებას. გარდა ამისა, ის ხელს შეუწყობს მწარმოებლებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და რეციკლირების განმახორციელებლებს შორის დიალოგის წარმოებას და მყარი პარტნიორობის ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ასევე არ არის დანერგილი ეკოეტიკეტირებისა და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ რეციკლირებული პლასტიკის გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დონორების მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტი ატარებს უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ნარჩენების სეპარაციის, მათ შორის პლასტიკის ნარჩენების სეპარაციის საკითხებზე. თუმცა, ამ ინიციატივებს სისტემური ხასიათი არ აქვს და არ ხდება მთელი ქვეყნის დაფარვა. აუცილებელია, რომ უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიები საქართველოს მთავრობას თანამშრომლობით და მონაწილეობით ჩატარდეს. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

იხ. დანართი 1: დონორების მიერ ნარჩენების მართვის საკითხებზე დაფინანსებული ინიციატივები, რომლებიც კავშირშია საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვასთან.

2.4.9 ინვესტიციები, კვლევისა და განვითარების და ინოვაციების როლი ცირკულარული გადაწყვეტილებების მიღებაში

საქართველოში ინვესტიციების ნაკლებობაა პლასტიკის ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ამ სფეროში ინოვაციების ხელშესაწყობად. ქვეყანაში არის რიგი სამეცნიერო ინსტიტუტებისა, რომლებსაც საჭირო კვლევებისა და ანალიზის ჩატარება შეუძლიათ. თუმცა, პლასტიკის ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების კვლევები ქვეყანაში არ ტარდება. გარდა ამისა, ქვეყანაში არ არსებობს კომპოსტირებადი და ბიოდეგრადირებადი პლასტიკის ანალიზისა და მონიტორინგის ინფრასტრუქტურა (ლაბორატორია). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებობს სამეცნიერო ფონდები, მაგალითად, როგორცაა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომლებსაც ქვეყანაში პლასტიკის ღირებულებათა ჯაჭვის გასაუმჯობესებლად სამეცნიერო კვლევების დაფინანსება შეუძლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორი ჩართულია პლასტიკის ნარჩენების მართვის პროცესში, საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის (PPP) პოლიტიკა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ამასთან ერთად, კერძო ინვესტიციებს პლასტიკის ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურასა და კვლევასა და განვითარებაში სტაბილური ხასიათი არ აქვს.

2.4.10 გლობალური პროცესების გამოყენება

საქართველო არის პლასტიკის ნარჩენებთან დაკავშირებული ორი კონვენციის მხარე, რომლებიც წევრი ქვეყნებისთვის კონკრეტულ მოთხოვნებს განსაზღვრავენ. ეს კონვენციებია:

- ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ; და
- ბუქარესტის კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ და მისი ოქმები.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში სრულად არ არის ასახული. მაგალითად, საქართველოს კანონი ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ ბაზელის კონვენციის მოთხოვნებს სრულად არ ითვალისწინებს. კერძოდ, ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა აისახოს პლასტიკის ნარჩენებთან დაკავშირებით ბაზელის კონვენციაში ახლახან შეტანილი ცვლილებები. ამ ეტაპზე მომზადებულია ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც სრულად ითვალისწინებს კონვენციის მოთხოვნებს.

როგორც შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ ბუქარესტის კონვენციის მხარე, საქართველო წარმოდგენილია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კომისიაში. კომისია 6 სახელმწიფოს აერთიანებს. ესენია: საქართველო, ბულგარეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. თუმცა კომისიის ფარგლებში ქვეყნებს შორის თანამშრომლობა სუსტია და საჭიროებს გაძლიერებას კონვენციის შესრულების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, შავი ზღვის დაბინძურების რეგიონული სამოქმედო გეგმის თანახმად⁸, საქართველო ვალდებულია შეიმუშავოს შესაბამისი ეროვნული სამოქმედო გეგმა ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის მხარდასაჭერად, რომელიც ჯერ შემუშავებული არ არის.

2.4.11 ხარვეზები, გამოწვევები და მათი ძირეული მიზეზები

პლასტიკის წარმოებისა და იმპორტის მოცულობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მზარდია. 2020 წელს პლასტიკის სექტორში დასაქმებული იყო 5 973 ადამიანი, ხოლო ბრუნვა 567.1 მლნ ლარს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, პლასტიკის სექტორი საქართველოს სავაჭრო სექტორის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები:

- საქართველოში იმპორტირებული ან წარმოებული პლასტიკის პროდუქტის დიდი ნაწილი მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისაა - მოკლე სასიცოცხლო ციკლის მქონე პროდუქტებია
 - ქვეყანაში არსებობს პლასტიკის პარკების გამოყენების შემზღვევით რეგულაცია, თუმცა არ არსებობს ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პროდუქტების მოხმარების შემცირების რეგულაციები, ეკონომიკური ინსტრუმენტები ან შესაბამისი წამახალისებელი სქემები

⁸ დამტკიცებულია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კომისიის 34-ე შეხვედრაზე.

- ხმარებიდან ამოღებული პლასტიკის ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების მაჩვენებლები დაბალია
 - ეკონომიკური წამახალისებელი სქემების, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების, ეკოეტიკეტირების და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების არარსებობა და საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე
- ქვეყანაში არ არის დანერგილი მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა (დონორების მიერ დაფინანსებული პილოტური პროექტების გამოკლებით); მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემა დანერგვის ეტაპზეა და მისი პრაქტიკული განხორციელების დაწყება დაგეგმილია 2023 წლიდან. მის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული დრო იქნება საჭირო; მაღალია ნაგავსაყრელებზე პლასტიკის ნარჩენების განთავსების მაჩვენებელი
 - ადგილობრივ დონეზე (მუნიციპალიტეტებში) ფინანსებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობა; მოქმედი კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად პლასტიკის ნარჩენების მართვის დაგეგმვაში ადგილობრივი თანამშრომლების უნარ-ჩვევების ნაკლებობა; COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობა
- პლასტიკის ნარჩენების რეციკლირების სექტორი არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.
 - მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულისა და თანამედროვე აღჭურვილობის ნაკლებობა, დასაქმებულების კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების დაბალი დონე
- პლასტიკის ნარჩენების დიდი რაოდენობა გარემოში როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაში მდებარე წყაროებიდან ხვდება:
 - სტიქიური ნაგავსაყრელები საქართველოს თითქმის ყველა სოფელშია
 - პლასტიკი არის საქართველოს სანაპირო ზოლზე დაგროვილი ნარჩენების ყველაზე მსხვილი ფრაქცია
 - მონიტორინგის სუსტი სისტემა, ზღვის დაბინძურების რეგულირების ნაკლოვანება, მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე
- საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნები არ არის სრულად ასახული საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში
 - ადამიანური რესურსების ნაკლებობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში
- დახარისხებული პლასტიკისა და რეციკლირებული პლასტიკის პროდუქტის დაბალი ხარისხი
 - დახარისხებული პლასტიკისა და რეციკლირებული პლასტიკის ხარისხის სტანდარტები ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად არ არის განსაზღვრული
- მაღალია ნაგავსაყრელზე პლასტიკის ნარჩენების განთავსების მაჩვენებელი
 - პლასტიკის ნარჩენების სეპარაციისა და რეციკლირების დაბალი მაჩვენებელი
- ნედლეულის ალტერნატიულ სახეს - ბიოდეგრადირებად პლასტიკს - ბაზრის ძალიან მცირე წილი უჭირავს
 - პლასტიკის პარკების აკრძალვის აღსრულებისთვის არასაკმარისი მონიტორინგის სისტემა, ადგილობრივი ბიზნესის მცირე შესაძლებლობები ბიოდეგრადირებადი პლასტიკის პარკების წარმოების თვალსაზრისით

- მიკროპლასტიკის პრობლემა ქვეყანაში შესწავლილი არ არის - არ არსებობს მიკროპლასტიკით დაბინძურების მონაცემები და პრევენციის რეგულაციები
 - ადამიანური რესურსების ნაკლებობა შესაბამის სახელმწიფო უწყებებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების ნაკლებობა
- საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე პლასტიკის ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, დახარისხებისა და რეციკლირების მნიშვნელობის შესახებ
 - პლასტიკის ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, დახარისხებისა და რეციკლირების შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების სიმცირე
 - ადამიანური რესურსების ნაკლებობა შესაბამის სახელმწიფო უწყებებში

3 სტრატეგია

3.1 ხედვა

საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა და ხელი შეუწყოს პლასტიკის პროდუქტის მდგრად და უსაფრთხო მოხმარებასა და წარმოებას.


აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია პლასტიკის მართვის ცირკულარული პრაქტიკის დანერგვით, სადაც პრიორიტეტი პლასტიკის პრევენციას, ხელახლა გამოყენებასა და გადამუშავებას ენიჭება.

3.2 პრიორიტეტები

3.2.1. იერარქია

საქართველოს პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამა შესაბამისობაშია ნარჩენების მართვის კოდექსში განსაზღვრულ ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპთან, სადაც უპირატესობა ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას ენიჭება. ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში ყველაზე სასურველი ვარიანტებია ნარჩენების ხელახალი გამოყენებისათვის მომზადება, რეციკლირება და სხვა სახის აღდგენა, მათ შორის ენერჯის აღგენა. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ყველაზე არასასურველ პრაქტიკას, წინასწარი დამუშავების შემდეგ, ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება წარმოადგენს.

საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვის იერარქია წარმოდგენილია ნახაზ 2-ზე:



ნახაზი 2: საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვის იერარქია

3.2.2. კონცეფცია

სტრატეგია ეყრდნობა შემდეგ კონცეფციებს:

- (a) **მთლიანი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინება:** ეს მიდგომა გამოყენებულია პლასტიკის ნარჩენების მართვის მეთოდების შერჩევისას. კონცეფცია მდგომარეობს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპის შეფასებაში იმის დასადგენად, თუ რომელ ეტაპზე შეუძლია მის მწარმოებელს ამ პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შემცირება და რესურსების ოპტიმალურად გამოყენება. ამ მიდგომით შესაძლებელია პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ისეთი ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა მანძილი ნარჩენების დამუშავების ობიექტამდე, ობიექტის ეფექტიანობა ენერჯის აღდგენის კუთხით და დამუშავების შედეგად მისაღები პროდუქტის ხარისხი.
- (b) **ნარჩენი, როგორც რესურსი:** სტრატეგია გვთავაზობს პლასტიკის ნარჩენების, როგორც რესურსის, გამოყენების ძალიან ბევრ შესაძლებლობას. მაგალითად, ეს ფრაქცია შეიძლება დაექვემდებაროს რეციკლირებას, ასევე ინსინერაციის გზით გამოყენებულ იქნეს სითბოს, ელექტროენერჯისა და საწვავის მისაღებად, რაც თავის მხრივ შეამცირებს ნარჩენების რაოდენობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრადობას.
- (c) **ნარჩენის სტატუსის დასრულება:** ნარჩენის სტატუსის დასრულების კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც აღდგენის შემდეგ კონკრეტული პლასტიკის ნარჩენი აღარ უნდა ჩაითვალოს ნარჩენად, განსაზღვრულია ნარჩენების შესახებ ევროკავშირის დირექტივაში 2008/98/EC, მუხლი 6.
- (d) **პრევენცია⁹:** კონცეფცია ძირითადად ეხება პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და განსაზღვრავს ნარჩენების ამ ნაკადის პრევენციის უზრუნველყოფის ზომებს. პრევენცია გულისხმობს ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე ზომების მიღებას, რაც ამცირებს:
 - ა) ნარჩენების რაოდენობას. ეს, სხვა საშუალებებთან ერთად, მიიღწევა პროდუქტის ხელახალი გამოყენებით ან პროდუქტის ვარგისობის ვადის გაგრძელებით;
 - ბ) წარმოქმნილი ნარჩენების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას;
 - გ) მასალაში ან პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

3.2.3. პრიორიტეტული მიმართულებები

საქართველოს პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები შესაბამისობაშია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და სტრატეგიული დოკუმენტების - ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის - მიზნებთან და ითვალისწინებს საქართველოს პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამის მე-2 თავში წარმოდგენილ სიტუაციის ანალიზს. გარდა ამისა, შესწავლილი იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები, მათ შორის პლასტიკის ევროპული სტრატეგია ცირკულარულ ეკონომიკაში

⁹ ნარჩენის მართვის კოდექსის შესაბამისად

და ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან საერთო ხედვის შესამუშავებლად.

პროდუქტის დიზაინის გაუმჯობესება	ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პროდუქტების შემცირება	სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის გაუმჯობესება	რეციკლირების ხარისხისა და სიმძლავრეების გაზრდა
მეორადი მასალების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა	ზღვის დაბინძურების შემცირება	მიკროპლასტიკით დაბინძურების შემცირება	დასუფთავების ღონისძიებების ჩატარება
ალტერნატიული ნედლეულის პოპულარიზაცია	კვლევებისა და ინვესტიციების ხელშეწყობა	გლობალურ ინიციატივებში ჩართვა	მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება


ნახაზი 3: საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვის პრიორიტეტული მიმართულებები

პნპეპ-ის პრიორიტეტული მიმართულებები პასუხობენ საქართველოში პლასტიკის ღირებულებათა მთელ ჯაჭვში არსებულ გამოწვევებს და ითვალისწინებენ პროცესის მთლიან სასიცოცხლო ციკლს. ისინი მოიცავენ, როგორც წარმოების, ასევე მოხმარების პროცესებს და ხელს უწყობენ ქვეყანაში პლასტიკის ნარჩენების მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვას.

3.3 მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები

ქვეთავ 3.2.3-ში წარმოდგენილი პრიორიტეტული მიმართულებების ანალიზისა და მათი თემების მიხედვით დაჯგუფების შედეგად გამოიკვეთა საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ოთხი ძირითადი გზა, რომლებიც ეხება (1) პლასტიკის რეციკლირების ხარისხისა და მოცულობის ზრდას; (2) პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნისა და დანაგვიანების შემცირებას; (3) ინვესტიციების გაზრდასა და ინოვაციების მხარდაჭერას; და (4) გლობალურ ინიციატივებში მონაწილეობასა და გლობალური შეთანხმებების შესრულებას.

აქედან გამომდინარე, პრიორიტეტულ მიმართულებებზე დაყრდნობით, საქართველოს პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამა განსაზღვრავს კონკრეტულ-გაზომვად-მიღწევად-აქტუალურ და დროში განსაზღვრულ (SMART) ოთხ მიზანს.



ნახაზი 4: პრიორიტეტული მიმართულებები და საქართველოს პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნული პროგრამის მიზნები

მომდევნო ქვეთავებში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოში პლასტიკის ნარჩენების მართვისათვის საჭირო მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესახებ.

3.3.1 მიზანი 1: პლასტიკის რეციკლირების რენტაბელობისა და ხარისხის ამაღლება

პლასტიკის რეციკლირების გაუმჯობესება საქართველოს როგორც გარემოსდაცვით, ასევე ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. თუმცა, ამ პროცესის ეფექტიანობა პირველ რიგში, დაკავშირებულია პლასტიკის პროდუქტის დიზაინსა და წარმოების ხარისხთან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შემდეგი საქმიანობების განხორციელება: პლასტიკის პროდუქტის დიზაინის გაუმჯობესება ისე, რომ მისი რეციკლირება ადვილი იყოს;

პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვა და არსებული სისტემის გაფართოება, გადამმუშავებელი სექტორისთვის ხარისხიანი ნედლეულის მიწოდების უზრუნველყოფა; საქართველოში ნარჩენების დახარისხებისა და რეციკლირების შესაძლებლობების გაფართოება და გაძლიერება და რეციკლირებული და განახლებადი (ალტერნატიული მასალის) პლასტიკის ბაზრის შექმნა.

მიზანი 1-ის - პლასტიკის რეციკლირების რენტაბელობისა და ხარისხის ამაღლება - ამოცანები

ამოცანა 1.1. პლასტიკის პროდუქტის დიზაინის გაუმჯობესება

ამოცანა 1.2. რეციკლირებული მასალების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანა 1.3. პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის გაუმჯობესება

3.3.2 მიზანი 2: პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნისა და დანაგვიანების შემცირება

უკანასკნელ წლებში საქართველოში პლასტიკის ნარჩენების რაოდენობა იზრდებოდა. პლასტიკის ნარჩენებით გარემოს დაბინძურება უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აგრეთვე ზიანს აყენებს ეკონომიკის ისეთ დარგებს, როგორცაა ტურიზმი, თევზჭერა და ნაოსნობა. ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პროდუქტი საქართველოში არსებული პლასტიკის პროდუქტის მთლიანი რაოდენობის დიდ ნაწილს შეადგენს და გარემოს, მათ შორის ზღვის, დაბინძურების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში ისეთი ზომების გატარება და საკანონმდებლო ინიციატივების მიღება, რომლებიც შეამცირებენ ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პროდუქტის რაოდენობას ან მათ ზედმეტ შეფუთვას, წაახალისებენ შეფუთვის ხელახალ გამოყენებას და რეციკლირებას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემა შეფუთვის ნარჩენებისთვის, რომლის დანერგვაც იგეგმება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გარემოს პლასტიკის ნარჩენებით დაბინძურების შემცირების პროცესში.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და გადაჭრას საჭიროებს პლასტიკის ნარჩენებით ზღვისა და სხვა ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურება. ყურადღება უნდა მიექცეს გემებიდან ზღვაში გადაყრილ პლასტიკის ნარჩენებს, დაკარგულ ან მიტოვებულ თევზსაჭერ იარაღებს და აკვაკულტურის სფეროში გამოყენებულ პლასტიკის პროდუქტებს.

პლასტიკით დაბინძურების შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და დასუფთავებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება.

პლასტიკის ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემცირების ერთ-ერთი გზაა, ასევე ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი მასალების გამოყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიოდეგრადირებადი პლასტიკის დაშლას გარკვეული გარემო პირობები სჭირდება და შესაბამისად, ასეთი ნარჩენების არასწორმა მართვამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ეკოსისტემას, განსაკუთრებით ზღვის გარემოში.

ამიტომ, ეტიკეტის საშუალებით მომხმარებელს უნდა განემარტოს ამ სახის პროდუქტის გამოყენების წესები. ამისათვის ქვეყანაში უნდა შემუშავდეს ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პლასტიკის მოხმარების, გამოყენებისა და ეტიკეტირების წესები. ასევე, უნდა შეიქმნას ინფრასტრუქტურა (ლაბორატორია) კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ოქსო-პლასტიკის პარკების გამოყენება საქართველოში აკრძალულია, თუმცა საჭიროა ოქსო-პლასტიკის სხვა პროდუქტის გამოყენების დარეგულირებაც.

მიკროპლასტიკი, 5 მმ-ზე ნაკლები ზომის პლასტიკის ნაწილაკები, უკანასკნელ დროს გლობალურ პრობლემად იქცა, ვინაიდან ეს არის პლასტიკით დაბინძურების მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც გარემოს, ასევე ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ, აუცილებელია მიზნობრივი კვლევების ჩატარება და რეგულაციების შემუშავება სხვადასხვა პროდუქტში მიკროპლასტიკის განზრახ დამატების შეზღუდვისა და პლასტიკის შემცველი სხვადასხვა პროდუქტიდან მათი გარემოში მოხვედრის შემცირების მიზნით.

მიზანი 2-ის - პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნისა და დანაგვიანების შემცირება - ამოცანები

ამოცანა 2.1. ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პროდუქტების შემცირება

ამოცანა 2.2. ზღვის დანაგვიანების შემცირება ზღვაში მდებარე წყაროებიდან

ამოცანა 2.3. მდინარეებისა და ზღვის დანაგვიანების შემცირება და ეფექტიანი მონიტორინგი

ამოცანა 2.4. კომპოსტირებადი და ბიოდეგრადირებადი პლასტიკის გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანა 2.5. მიკროპლასტიკით დაბინძურების შემცირება

3.3.3 მიზანი 3: ინვესტიციებისა და ინოვაციების მიმართვა ცირკულარული გადაწყვეტილებებისაკენ

პლასტიკის ღირებულებათა ჯაჭვის მოდერნიზების მიზნით პნპეპ-ის ამოცანების შესრულება საჭიროებს ინვესტიციების მოზიდვას, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ასევე ინოვაციების მხარდასაჭერად. ამისათვის, საჭიროა შესაბამისი მექანიზმების შექმნა.

ინოვაციური გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს დახარისხების, რეციკლირებისა და პოლიმერების დიზაინის ახალ ტექნოლოგიებს, ასევე ბიოდეგრადირებად პლასტიკსა და მიკროპლასტიკთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებს. აქედან გამომდინარე, გამოყენებული უნდა იქნეს დაფინანსების სხვადასხვა სქემა, მათ შორის სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა; დაინერგოს ეკონომიკური ინსტრუმენტები პლასტიკის ნარჩენების პრევენციისა და რეციკლირების ხელშესაწყობად; მოხდეს პროცესში კერძო სექტორის ჩართვა ინფრასტრუქტურის დაფინანსებისა და კვლევების წარმოებისათვის ინვესტიციების განხორციელების გზით და შესაძლოა, ასევე კერძო საინვესტიციო ფონდის შექმნა გარემოზე პლასტიკის წარმოებით განპირობებული უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად.

მიზანი 3-ის - ინვესტიციებისა და ინოვაციების მიმართვა ცირკულარული გადაწყვეტილებებისაკენ - ამოცანები

ამოცანა 3.1. პლასტიკის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტიციებისა და ინოვაციების ხელშეწყობი ჩარჩოს შექმნა

3.3.4 მიზანი 4: გლობალურ პროცესებში მონაწილეობა და მხარდაჭერა

პლასტიკის ნარჩენების მზარდი რაოდენობა და არასათანადო მართვა გლობალური პრობლემაა და შესაბამისად, მისი გადაჭრა ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო დიალოგში და გამოიყენოს, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა პლასტიკის ნარჩენების მართვის საკითხებზე, მათ შორის ზღვის გარემოში. გარდა ამისა, პლასტიკის ნარჩენების სათანადო მართვა ქვეყანას ხელს შეუწყობს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

საქართველო წარმოადგენს ბაზელის კონვენციის სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ და ბუქარესტის კონვენციის შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ მხარეს. აქედან გამომდინარე, საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების სრულად ასახვა და შესრულება. გარდა ამისა, საქართველო არის შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კომისიის წევრი. კომისია 6 სახელმწიფოს აერთიანებს. ესენია: საქართველო, ბულგარეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. საქართველომ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს ეს რეგიონული პლატფორმა ზღვის დანაგვიანების საკითხის მოსაგვარებლად და პლასტიკის ნარჩენების პრევენციისა და მართვის სისტემების დანერგვის ხელშესაწყობად.

საქართველოში წარმოებული რეციკლირებული პლასტიკის პროდუქტი ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. იმისათვის, რომ ადგილობრივმა გადამამუშავებელმა კომპანიებმა საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეძლონ, საჭიროა რეციკლირების ობიექტების სერტიფიცირების სქემის დანერგვა და დახარისხებული ნარჩენებისა და რეციკლირებული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება.

მიზანი 4-ის - გლობალურ პროცესებში მონაწილეობა - ამოცანები

ამოცანა 4.1. რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა

ამოცანა 4.2. მრავალმხრივი ინიციატივების ეფექტიანად განხორციელების მხარდაჭერა

3.4 ღონისძიებები

ცხრილში წარმოდგენილია იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელება რეკომენდებულია საქართველოში 20 წლის განმავლობაში. ღონისძიებები შემუშავებული იქნა თითოეული მიზნისა და ამოცანისათვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ღონისძიებები შეფასებულია ტექნიკური და ფინანსური მიზანშეწონილობისა და მათი განხორციელების აუცილებლობის შესაბამისად, რის საფუძველზეც განსაზღვრულია პრიორიტეტული ღონისძიებები და ვადები - მოკლევადიანი ღონისძიებები - 5 წელი (2026 წლამდე), საშუალო ვადიანი ღონისძიებები - 10 წელი (2031 წლამდე), გრძელვადიანი ღონისძიებები - 20 წელი (2041 წლამდე).

მოცემული დოკუმენტის სტატეგიული ნაწილი (თავი 3.5) მოიცავს მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს 10 წლის განმავლობაში, ხოლო სამოქმედო გეგმა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს 5 წლის განმავლობაში.

5 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების აქტივობები წარმოდგენილია თავი 4-ში - სამოქმედო გეგმა.

მიზანი 1. პლასტიკის რეციკლირების რენტაბელობისა და ხარისხის ამაღლება	
ამოცანა 1.1. პლასტიკის პროდუქტების დიზაინის გაუმჯობესება:	განხორციელების პერიოდი
ღონისძიება 1.1.1. საქართველოს ბაზარზე განთავსებული ყველა სახის პლასტიკის შეფუთვის ხარვეფექტიანად ხელახლა გამოყენებისა და რეციკლირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.	საშუალოვადიანი
ღონისძიება 1.1.2. ქიმიური ნივთიერებების (მძიმე ლითონები) მიკვლევადობის გაუმჯობესება და პლასტიკის რეციკლირებულ მასალებში კვალის სახით წარმოდგენილი ნივთიერებების საკითხის გადაჭრა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად	გრძელვადიანი
ღონისძიება 1.1.3. ეკო-დიზაინის გაუმჯობესება - პლასტიკის (ადგილობრივი წარმოება და იმპორტი) რეციკლირებადობის ხელშემწყობი მოთხოვნების შემოღება	გრძელვადიანი
ამოცანა 1.2. რეციკლირებული მასალების გამოყენების ხელშეწყობა	
ღონისძიება 1.2.1. საქართველოს მასშტაბით სამრეწველო და საჯარო სექტორების მიერ ვალდებულებების აღების კამპანიის (pledging campaign) დაწყება (პნპეპ-ის მიზნის მხარდაჭერის ნებაყოფლობითი ვალდებულება). კამპანიის აღწერა იხილეთ ცალკე ცხრილში.	გრძელვადიანი
ღონისძიება 1.2.2. რეციკლირებული მასალების გამოყენების მარეგულირებელი ან ეკონომიკური წამახალისებელი მექანიზმების შეფასება და დანერგვა, მათ შორის: – მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სქემის და/ან დეპოზიტის სისტემის დანერგვა შესაბამის დარგებთან კონსულტაციით – პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის დანერგვა და სრულყოფა	მოკლევადიანი
ღონისძიება 1.2.3. საკვებთან შეხებაში მყოფი მასალები: პლასტიკის რეციკლირების პროცესის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, დამზინძურებლების დახასიათების პრაქტიკის გაუმჯობესება და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის დანერგვა	საშუალოვადიანი

<p>ღონისძიება 1.2.4. პლასტიკის დახარისხებული ნარჩენების და რეციკლირებული პლასტიკის ხარისხის სტანდარტების შემუშავება ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად</p>	<p>გრძელვადიანი</p>
<p>ღონისძიება 1.2.5. ეკო-ეტიკეტისა და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სისტემების დანერგვა რეციკლირებადი პლასტმასის გამოყენების ხელშესაწყობად, მათ შორის გადამოწმების შესაბამისი საშუალებების შემუშავების გზით (მაგ., სახელმწიფო შესყიდვებში ხელახლა გამოყენებადი და რეციკლირებადი პლასტმასისთვის უპირატესობის მინიჭება)</p>	<p>საშუალოვადიანი</p>
<p>ამოცანა 1.3. პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პრაქტიკის გაუმჯობესება</p>	
<p>ღონისძიება 1.3.1. პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფა საკანონმდებლო ინიციატივებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების საშუალებით</p>	<p>მოკლევადიანი</p>
<p>მიზანი 2. პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნისა და დანაგვიანების შემცირება</p>	
<p>ამოცანა 2.1. ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პროდუქტების შემცირება</p>	
<p>ღონისძიება 2.1.1. კვლევის ჩატარება, მათ შორის საჯარო კონსულტაციების დაწყება, ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის პროდუქტების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებს დასადგენად (ეკონომიკური ინსტრუმენტები და წახალისების სქემების ჩათვლით)</p>	<p>მოკლევადიანი</p>
<p>ღონისძიება 2.1.2. ერთჯერადი პლასტიკის პროდუქტების არსებული ალტერნატივების პოპულარიზაცია იმ სფეროებში (მაგ., კვების ობიექტებში და საკვების გატანით მომსახურების სფეროში), სადაც ეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო გამართლებულია</p>	<p>მოკლევადიანი</p>
<p>ამოცანა 2.2. ზღვის დაბინძურების შემცირება ზღვაში მდებარე წყაროებიდან</p>	
<p>ღონისძიება 2.2.1. გემებიდან ზღვის დაბინძურების შემცირება (დირექტივა 2019/883-ის მოთხოვნების გათვალისწინება).</p>	<p>საშუალოვადიანი</p>

ღონისძიება 2.2.2. თევზსაჭერი აღჭურვილობის ზღვაში მოხვედრის ან მიტოვების შესამცირებლად ღონისძიებების შემუშავება	გრძელვადიანი
ღონისძიება 2.2.3. აკვაკულტურიდან პლასტიკით დაბინძურების შემცირების ღონისძიებების შემუშავება	გრძელვადიანი
ამოცანა 2.3. მდინარეებისა და ზღვის დანაგვიანების შემცირება და ეფექტიანი მონიტორინგი	
ღონისძიება 2.3.1. ზღვის დაბინძურების (მათ შორის მიკროპლასტიკით) წყაროების აღრიცხვა (mapping) და მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვა	მოკლევადიანი
ღონისძიება 2.3.2. ზღვის დაბინძურების შესამცირებლად სამოქმედო გეგმის შემუშავება საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის, ნარჩენების ჩარჩო დირექტივის და შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციისა და მისი ოქმების შესაბამისად	მოკლევადიანი
ღონისძიება 2.3.3. პლასტიკით დაბინძურების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ჯარიმების ამოქმედება; მდინარეთა ნაპირების და სანაპირო ზოლის დასუფთავების აქციების ხელშეწყობა	მოკლევადიანი
ღონისძიება 2.3.4. ნარჩენების შეგროვების გაუმჯობესება მდინარეების ნაპირებზე და ზღვის სანაპიროებთან, ასევე კოორდინაციის გაუმჯობესება ნარჩენების მართვაზე, წყლის რესურსების მართვასა და საზღვაო გარემოზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს შორის ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე	მოკლევადიანი
ამოცანა 2.4. კომპოსტირებადი და ბიოდეგრადირებადი პლასტიკის გამოყენების ხელშეწყობა	
ღონისძიება 2.4.1. საქართველოში კომპოსტირებადი და ბიოდეგრადირებადი პლასტიკის მონიტორინგის ინფრასტრუქტურის (ლაბორატორიის) და შესაძლებლობების შექმნა	მოკლევადიანი
ღონისძიება 2.4.2. ოქსო-პლასტიკის შესახებ რეგლამენტების მომზადება და მათი გამოყენების შეზღუდვის პროცესის დაწყება	საშუალოვადიანი

ამოცანა 2.5. მიკროპლასტიკით დაბინძურების შემცირება	
ღონისძიება 2.5.1. სხვადასხვა პროდუქტებში მიკროპლასტიკის განზრახ დამატების, ან მიკროპლასტიკის შემცველი პროდუქტების შემზღუდავი რეგლამენტების შემუშავება	გრძელვადიანი
ღონისძიება 2.5.2. საბურავებიდან, ქსოვილებიდან და საღებავებიდან მიკროპლასტიკის გარემოში მოხვედრის შესამცირებლად პოლიტიკის ვარიანტების შემუშავება	საშუალოვადიანი
ღონისძიება 2.5.3. პლასტიკის გრანულების გაფანტვის შემცირების ზომების შემუშავება (მაგ., სერტიფიცირების სქემა პლასტიკის მიწოდების ჯაჭვის გასწვრივ და/ან სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები)	გრძელვადიანი
მიზანი 3 ინვესტიციებისა და ინოვაციების მიმართვა ცირკულარული გადაწყვეტილებებისაკენ	
ამოცანა 3.1. პლასტიკის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტიციებისა და ინოვაციების ხელშემწყობი ჩარჩოს შექმნა	
ღონისძიება 3.1.1. დაფინანსების სხვადასხვა სქემის, მათ შორის, სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობის, გამოყენება ისეთი ინოვაციური გადაწყვეტილებების და ახალი ტექნოლოგიების მხარდასაჭერად, რომლებიც მიზნად ისახავენ პირველადი პლასტიკის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემცირებას	საშუალოვადიანი
ღონისძიება 3.1.2. ეკონომიკური ინსტრუმენტების დანერგვა პლასტიკის ნარჩენების რეციკლირებისა და პრევენციის ხელშესაწყობად	მოკლევადიანი
ღონისძიება 3.1.3. მრეწველობის წახალისება ინფრასტრუქტურის და კვლევისა და განვითარების (R&D) ინვესტიციების მოსაზიდად ისეთ სფეროებში, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ პლასტიკის ნარჩენების პრევენციის ეროვნულ პროგრამასთან	გრძელვადიანი
ღონისძიება 3.1.4. მრეწველობის წახალისება პლასტიკის წარმოების პროცესში გარემოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კერძო საინვესტიციო ფონდის შესაქმნელად	გრძელვადიანი

მიზანი 4 გლობალურ პროცესებში მონაწილეობა და მხარდაჭერა	
ამოცანა 4.1. რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა	
ღონისძიება 4.1.1. შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან პლასტიკის ნარჩენების პრევენციის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა	საშუალოვადიანი
ღონისძიება 4.1.2. საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა ზღვის დაბინძურების შესამცირებლად გლობალური ზომების შესამუშავებლად	საშუალოვადიანი
ღონისძიება 4.1.3. მრეწველობის წახალისება პლასტიკთან დაკავშირებული ცირკულარული ეკონომიკის საკითხებში ტრანსსასაზღვრო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად	გრძელვადიანი
ამოცანა 4.2. მრავალმხრივი ინიციატივების ეფექტიანად განხორციელების მხარდაჭერა	
ღონისძიება 4.2.1. პლასტიკის ნარჩენებთან დაკავშირებით ბაზელის კონვენციის მოთხოვნების შესრულება (კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა, მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება)	მოკლევადიანი
ღონისძიება 4.2.2. შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის და მისი ოქმების განხორციელების მხარდაჭერა, კერძოდ, ზღვის დაბინძურებასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება (ასევე იხ. 2.3.2)	გრძელვადიანი
ამოცანა 4.3. საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად	
ღონისძიება 4.3.1. სეპარირებული და რეციკლირებული პლასტმასისათვის სამრეწველო სტანდარტების შემუშავება	გრძელვადიანი
ღონისძიება 4.3.2. პლასტიკის იმპორტირებული და ექსპორტირებული ნარჩენების თანამედროვე რეგულაციების შესაბამისად მართვა	გრძელვადიანი
ღონისძიება 4.3.3. რეციკლირების ობიექტების სერტიფიცირების სქემის შექმნა	გრძელვადიანი

ვალდებულებების აღების კამპანიის აღწერა

<p>1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს, ნებაყოფლობით აიღონ ვალდებულებები რეციკლირებული პლასტიკის გამოყენების ხელშესაწყობად. აღნიშნულის მიზანია 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნას გარკვეული რაოდენობის რეციკლირებული პლასტიკის საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილ ახალ პროდუქტებში გამოყენება.</p>
<p>2. დაინტერესებულ კომპანიებს და/ან სამრეწველო ასოციაციებს შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი ნებაყოფლობითი ვალდებულებები გარკვეულ პერიოდამდე, მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე.</p>
<p>3. დაინტერესებულმა კომპანიებმა ნებაყოფლობითი ვალდებულებების გამოგზავნისას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა წარმოადგინონ მონაცემები და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყობს ხელს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება პუნქტი 1-ში დადგენილი რაოდენობრივი მიზნის მიღწევას. წარმოდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვით დამუშავდება და გამოყენებული იქნება მხოლოდ განზოგადოებული სახით, რაოდენობრივი მიზნის მიმართულებით მიღწეული პროგრესის მონიტორინგისათვის.</p> <p>განხორციელდება ნებაყოფლობითი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი.</p>
<p>4. რეციკლირებასთან დაკავშირებით ნებაყოფლობითი ვალდებულებები შესაძლოა ეხებოდეს პნპკ-ში განსაზღვრულ სხვა საკითხებსაც, მაგალითად როგორცაა უკეთ რეციკლირებადი დიზაინის პროდუქციის წამროება.</p>
<p>5. მიღებული ნებაყოფლობითი ვალდებულებები გასაჯაროვდება სპეციალური ვებ-გვერდის საშუალებით.</p>

3.5 ლოგიკური ჩარჩო

მიზანი 1. პლასტიკის რეციკლირების რენტაბელობისა და ხარისხის ამაღლება	კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs):	ინდიკატორი	
	მიზანი 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 12. მდგრადი მოხმარებისა და წარმოების წესების უზრუნველყოფა	პლასტიკის მდგრადი პროდუქტების ხელმისაწვდომობის და გამოყენების ზრდა	
	ღონისძიებები	ინდიკატორები	სამიზნე
ამოცანა 1.1. პლასტიკის პროდუქტების დიზაინის გაუმჯობესება	1.1.1. საქართველოს ბაზარზე განთავსებული ყველა სახის პლასტიკის შეფუთვის ხარვეჭეფექტიანად ხელახლა გამოყენებისა და რეციკლირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად	1.1.1. საქართველოს ბაზარზე ხელახლა გამოყენებული / რეციკლირებული პლასტიკის შეფუთვის წილის (%) ზრდა პირველადი პლასტიკის შეფუთვისთან შედარებით	1.1.1. 45% წილი 2029-თვის

